2-3281/23
07-03-2023

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის
დასკვნა

საქართველოს კანონების პროექტებზე: „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-3/296; 22.02.2023)

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2023 წლის 6 მარტის კომიტეტის სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების: სოზარ სუბარის, დიმიტრი ხუნდაძის, მიხეილ ყაველაშვილის, გურამ მაჭარაშვილის, ირაკლი (დაჩი) ბერაიას და ვიქტორ ჯაფარიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-3/296; 22.02.2023).

I. საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის ძირითადი არსი

უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტით დგინდება უცხოური ძალის აგენტის მიერ საქართველოს გენერალური პროკურორისთვის შესაბამისი ანგარიშისა და სხვა სათანადო დოკუმენტების წარდგენის წესი, აგრეთვე განიმარტება უცხოური ძალის აგენტის ცნება. ამასთანავე, საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტით დგინდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

II. კომიტეტის შეფასება

საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ემსახურება უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. იგი განსაზღვრავს უცხოური ძალის აგენტის ცნებას და აწესრიგებს შესაბამისი სუბიექტების უცხოური ძალის აგენტად რეგისტრაციასა და მათი საქმიანობის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი კანონმდებლობა და პრაქტიკა არსებობს ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არის, მაგალითად, აშშ, ავსტრალია, ისრაელი; კერძოდ, აშშ-ში მოქმედებს უცხოური გავლენის აგენტთა რეგისტრაციის შესახებ აქტი (Foreign Agents Registration Act (FARA))[1]; 2018 წელს ავსტრალიამ აშშ-ის კანონის ნიმუშის მიხედვით მიიღო უცხოური გავლენის გამჭვირვალობის სისტემის შესახებ აქტი (Foreign Influence Transparency Scheme Act (FITSA))[2]; ისრაელის ქნესეთმა 2016 წელს ანალოგიური ცვლილება შეიტანა 2011 წლის კანონში

[1] https://www.justice.gov/nsd-fara/fara-index-and-act
[2] https://www.legislation.gov.au/Details/C2018A00063

უცხოური პოლიტიკური პარტიის მიერ მხარდაჭერილ სუბიექტთა გამოვლენის ვალდებულების შესახებ[3]. მეტიც, საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი იმეორებს აშშ-ში მოქმედი ზემოხსენებული კანონის (უცხოური გავლენის აგენტთა რეგისტრაციის შესახებ აქტის (Foreign Agents Registration Act (FARA)) ნორმებს.

საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის კომიტეტის სხდომაზე განხილვისას აღინიშნა, რომ მისი შემდგომი განხილვის პროცესში გაგრძელდება მსჯელობა ცალკეულ შინაარსობრივ საკითხებზე, მათ შორის, კანონპროექტისთვის იმ ნორმის მსგავსი ნორმის დამატების საკითხზე, რომელსაც აშშ-ში მოქმედი უცხოური გავლენის აგენტთა რეგისტრაციის შესახებ აქტის (Foreign Agents Registration Act (FARA)) §613-ის (f) ქვეპუნქტი ითვალისწინებს.

ამასთანავე, კომიტეტი დადებითად აფასებს იმ გარემოებას, რომ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მისი პირველი მოსმენით მიღების შემდეგ ვენეციის კომისიას დასკვნისთვის გაეგზავნება.

ამრიგად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი მხარს უჭერს წარმოდგენილ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს და მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიღებას.

III. დასკვნითი ნაწილი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საქართველოს პარლამენტის წევრების: სოზარ სუბარის, დიმიტრი ხუნდაძის, მიხეილ ყაველაშვილის, გურამ მაჭარაშვილის, ირაკლი (დაჩი) ბერაიას და ვიქტორ ჯაფარიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-3/296; 22.02.2023) კომიტეტის სხდომაზე განხილვის შედეგად ცნო საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისათვის მომზადებულად.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი

[3] https://www.nevo.co.il/law_html/law01/500_452.htm
https://main.knesset.gov.il/Activity/Legislation/Laws/Pages/LawPrimary.aspx?t=lawlaws&st=lawlaws&lawit
https://m.knesset.gov.il/en/news/pressreleases/pages/pr12164_pg.aspx